

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ენერგორესურსების მოხმარების
გამოკვლევის შედეგები

2015




ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის შედეგები (2015 წელი)

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება 2015 წელს, წინა წელთან შედარებით 4,4%-ით გაიზარდა და შეადგინა 10832,5 მილიონი კვტ. სთ. 2015 წლის განმავლობაში მოპოვებულია 40,2 ათასი ტონა ნედლი ნავთობი (გასულ წელთან შედარებით 5,6%-ით ნაკლები), 305,9 ათასი ტონა ქვანახშირი (გასულ წელთან შედარებით 2,2%-ით მეტი) და 11,4 მილიონი მ³ ბუნებრივი გაზი (წინა წელთან შედარებით 10,7%-ით მეტი).

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2015 წელს საქართველოში წარმოებულია 2124,6 ათასი მ³ შეშა (წინა წელთან შედარებით 14,2%-ით ნაკლები).


ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს საქართველოში 2015 წელს წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურას. როგორც გრაფიკიდან ჩანს, სტრუქტურაში უდიდესი წილი (61,9%) მოდის ელექტროენერჯის წარმოებაზე. მეორე ადგილს იკავებს ბიოსაწვავი და ნარჩენებისაგან წარმოებული ენერჯია (26,0%), რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შეშის სახით, ხოლო დანარჩენი ენერგორესურსები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით ხასიათდებიან:

წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურა, 2015




ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში 32,7% მოდის ბუნებრივ გაზზე. შედარებით მაღალი წილით ხასიათდება აგრეთვე ნავთობპროდუქტები (30,5%) და ელექტროენერგია (20,8%). წლის განმავლობაში მოხმარებული ენერჯის 9,5%-ს წარმოადგენს ბიოსაწვავი და ნარჩენებისაგან წარმოებული ენერჯია, ხოლო დარჩენილი 6,5% მოდის ქვანახშირზე:

მოხმარებული ენერგორესურსების სტრუქტურა, 2015



სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერგორესურსების ყველაზე დიდი მოხმარებელია ტრანსპორტის სექტორი, რომელზეც მოდის მთლიანი მოხმარების 35,1%. 2015 წელს მოხმარებული ენერგორესურსების 28,9% მოდის შინამეურნეობებზე, 19,9% - მრეწველობაზე, 2,3% - მშენებლობაზე, ხოლო დარჩენილი 13,8% - კერძო და სახელმწიფო მომსახურების სხვა დარგებზე ნაწილდება:

ენერგორესურსების მოხმარება სექტორების მიხედვით, 2015



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge